სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

25.12. 2017 № 249

თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციისთვის
გასატარებელი დამატებითი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის, აგრეთვე, სტუ-ს რექტორის 2017 წლის 1 დეკემბრის № 228 ბრძანების საფუძველზე, 2018 წელს უნივერსიტეტის მიერ საავტორიზაციო განაცხადის შეტანისა და ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დადგენილ ვადებში მომზადების უზრუნველყოფის მიზნით

ვბრძანებ:

1. შეიქმნას სტუ-ს ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ჯგუფი თანდართული შემადგენლობით (დანართი 1).
2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა 2018 წლის 15 იანვრამდე პერსპექტიული განვითარების სამსახურში წარადგინონ ინფორმაცია დანართი 2-ის შესაბამისად.
3. უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 1 დეკემბრის № 228 ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თითოეული სტანდარტის შემადგენელი კომპონენტების შესრულებაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა 2018 წლის 25 იანვრამდე წარმოადგინონ ინფორმაცია შესაბამისი კომპონენტის შესრულების შესახებ და თვითშფასების ფორმის მე-3 ნაწილით განსაზღვრული დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების პროექტები. იმ შემთხვევაში, თუ კომპონენტთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭიროა დამატებითი ძალისხმევა, წარმოდგენილი უნდა იქნეს სამოქმედო გეგმა თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი 3).
4. სტანდარტების კომპონენტების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმღვანელებს, ავტორიზაციისთვის მზადების პროცესში, უფლება აქვთ კომპონენტების შესრულებისთვის აუცილებელი ინფორმაცია მოსთხოვონ უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.
5. საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურმა (ო. ზუმბურიძე) უზრუნველყოს დოკუმენტების თარგმნა ინგლისურ ენაზე ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების მოთხოვნების შესაბამისად.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.
7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს კანცელარიამ;
8. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

სტუ-ს 2017 წლის 25 დეკემბრის
№ 249 ბრძანების
დანართი №1

სტუ-ს ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ჯგუფი

–	არჩილ ფრანგიშვილი	-	რექტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი
–	ლევან კლიმიაშვილი	-	ვიცე-რექტორი, ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე
–	ზურაბ გასიტაშვილი	-	რექტორის მოადგილე, ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე
–	ქეთევან ქოქრაშვილი	-	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
–	გიორგი ძიძიგური	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
–	ჯემალ გახოკიძე	-	წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი
–	თამაზ ბაციკაძე	-	პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროსი
–	ოთარ ზუმბურიძე	-	საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსი
–	ბექა მაისურაძე	-	სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
–	იური ლომიძე	-	სწავლების დეპარტამენტის უფროსი
–	გიორგი აბრამიშვილი	-	სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტი უფროსი
–	დავით თავხელიძე	-	მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი
–	ხათუნა ჩხიკვიშვილი	-	ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი
–	გია არაბიძე	-	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი
–	ხათუნა მხეიძე	-	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დეპარტამენტის უფროსი

სტუ-ს 2017 წლის 25 დეკემბრის
№ 249 ბრძანების
დანართი №2

სტუ-ს ყოველ სტრუქტურულ ერთეულს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტანდარტებთან შესაბამისობის შიდა შეფასების (თვითშეფასების) ფარგლებში გთხოვთ:

ა) შეაფასოთ სტუს 2012-2018 წლების განვითარების გრძელვადიანი (სტრატეგიული) გეგმა (მთლიანობაში და საკუთარ სტრუქტურულ ერთეულთან მიმართებაში);

ბ) შეაფასოთ საკუთარი სტრუქტურული ერთეული PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - განავითარე) მოდელის ფაზების მიხედვით და SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები, საფრთხეები) ანალიზის შესაბამისად;

გ) განიხილოთ სტრატეგიული დაგეგმვის შემოთავაზებული მეთოდოლოგის პროექტი (თან ერთვის)

დ) განსაზღვროთ საკუთარ სტრუქტურული ერთეულის შვიდწლიანი სტრტეგიული მიზნები (ზოგადად) და სამწლიანი სამოქმედო გეგმა თანდართული ფორმის მიხედვით (ბრძანების დანართი 3).

განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

„სტრატეგიული დაგეგმვა“ წარმოადგენს ალტერნატივას ცნებისა - გრძელვადიანი ან პერსპექტიული დაგეგმვა. ტრადიციული, „გრძელვადიანი დაგეგმვის“ კონცეფცია გულისხმობს სამომავლო პერსპექტივის ხედვას უკვე ჩამოყალიბებული, მდგრადი ტენდენციების ექსტრაპოლაციის პრიზმაში, მაშინ როცა „სტრატეგიული დაგეგმვა“, ამ ტენდენციებთან ერთად, აუცილებლად ითვალისწინებს საგანმანათლებლო დაწესებულების სამომავლო განვითარების შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, იმ სავარაუდო თუ მოსალოდნელ სიტუაციათა შედეგებს, რომლებსაც ძალუძთ გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, არა მარტო მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ჩამოყალიბებულ, მდგრად ტენდენციებზე, არამედ, შესაძლოა, რადიკალურად შეცვალონ საგანმანათლებლო დაწესებულების სახეც კი.

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაც და მომავალიც, ამ კონტექსტს უნდა ითვალისწინებდეს განვითარების სტრატეგიული გეგმა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა, რომელსაც აქვს თავისი მდიდარი ისტორია, თანამედროვე მკაფიო სახე და მნიშვნელოვანი პოტენციალი.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის კანონმდებლობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში, ხოლო „**ავტორიზაცია არის** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის **აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა**“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს წესდების თანახმად და აქვს კანონით განსაზღვრული სტატუსი. ოფიციალურად არის აღიარებული, რომ ის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის აკმყოფილებდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტს. ავტორიზაციის მოქმედების ვადა არის ექვსი წელი და ამიტომ აუცილებელია სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდული ხელახალი გარე შეფასება ანუ ხელახალი ავტორიზაცია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად „ავტორიზაცია არის **დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმი**, **რომლითაც ხორციელდება შიდა შეფასების (თვითშეფასების) დადასტურება**“, უპირველეს ამოცანად იკვეთება უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების მაღალ დონეზე უზრუნველყოფა, მით უფრო, რომ თვითშეფასება ასევე აუცილებელი წინაპირობაა განვითარების მომავალი შვიდწლიანი სტრატეგიული და სამწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თვითშეფასება უნდა ითვალისწინებდეს ყველა იმ ასპექტს, რასაც ავტორიზაციის სტანდარტები ეხება:

„ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურას და მართვას;

გ) საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს;

ე) სტუდენტებს და მათი მხარდაჭერის ღონისძიებებს;

ვ) კვლევას, განვითარებას და სხვა შემოქმედებით საქმიანობას;

ზ) მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს.“

ამრიგად, უნივერსიტეტის სტატუსი და მისი განვითარების სტრატეგიული გეგმა მიზეზ-შედეგობრივად, აუცილებლობით უკავშირდება ერთმანეთს და, მართალია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (მ. 21, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“) უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას „შეიმუშავებს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო“, მაგრამ ავტორიზაციის სტანდარტები ხაზგასმით მიუთითებს, რომ „სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართულნი არიან უსდ-ს პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და უსდ-ს მიერ განსაზღვრული სხვა დაინტერესებული მხარეები“; ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაინტერესებული მხარეებისათვის აუცილებელია, საკუთარი კომპეტენციისა და ფუნქციონალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მაინც, სტანდარტების შინაარსის ცოდნა და იმის გაცნობიერება, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები ნამდვილად უწყობს ხელს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებას, სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას და რომ ესაა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის არსებითი ხედვა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოიაზრება ისეთ პროცესად, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს ყველა დაინტერესებულ მხარესთან უკუკავშირით აღჭურვილ მექანიზმს.

სტრატეგიული დაგეგმვის მოდელი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესით დაინტერესებული ყველა მხარისათვის)

მისია

რისთვის ვარსებობთ?

ვისზე ახდენს ზეგავლენას ჩვენი საქმიანობა?

რა ესაჭიროებათ მათ?

როგორია უნივერსიტეტის გეგმა?

როგორია ჩვენი ძირითადი ფუნქციები მისიის განხორციელების საქმეში?

საქმიანობის პრინციპები

როგორია ჩვენი ორგანიზაციის (სტრუქტურული ერთეულის, რგოლის,...) ღირებულებები და პრინციპები?

ხედვა

სად გვინდა ვიმყოფებოდეთ 5-7 წლის შემდეგ? როგორი იქნება საუნივერსიტეტო საქმიანობით დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, თანამშრომლები, დამსაქმებლები, გარე პარტნიორები) მოთხოვნები?

სიტუაციური ანალიზი

სად ვიმყოფებით?

როგორია დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნები?

რას გვეუბნებიან მოპოვებული შეფასებები?

რა გამოგვდის კარგად?

რისი გაუმჯობესება შეგვიძლია?

გარე შესაძლებლობები/საფრთხეები?

რა ხდება ჩვენს გარშემო? ტენდენციები?

სტრტეგიული პრიორიტეტები

რომელი ძირითადი მიმართულებით გავაკეთებთ ჩვენი ძალისხმევის კონცეტრირებას რათა მივაღწიოთ ჩვენს ხედვას?

ხომ არ ეწინააღმდეგება ჩვენი პრიორიტეტები უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს?

ვის დავუკავშირდებით ამ მიზნების მისაღწევად?

როგორ შევიტყობთ ჩვენი პროგრესის შესახებ?

რას აღარ გავაკეთებთ და რას გავაკეთებთ სხვაგვარად?

ქმედებანი წლის განმავლობაში

დაგეგმვა, ბიუჯეტირება (ფინანსური რესურსების განაწილება ამოცანებისა და ადამიანური რესურსების შესაბამისად) და პროცესის გაუმჯობესება, პერიოდული შემოწმებები

უნივერსიტეტს უნდა შეეძლოს დაამტკიცოს,
რომ თანამშრომელთა ყველა დონე მონაწილეობს როგორც სტრტეგიული ისე ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებაში,
რომ გეგმის შემუშავებაში გამოყენებულია ყველა დაინტერესებული მხარის, განსაკუთრებით გარეშე მხარეების მონაცემები მათი მოთხოვნილებების შესახებ, რომ მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისას გათვალისწინებულია წინააღმდეგობები, შეზღუდვები და სისუსტეები,
რომ წარმატების მიღწევისათვის განზრახული ქმედებები ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთკავშირში იმყოფება.

სტუ-ს 2017 წლის 25 დეკემბრის
№ 249 ბრძანების
დანართი №3

_____ (სტანდარტის დასახელება) _____(კომპონენტის დასახელება)
სტუ-ს შესაბამისობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა

№	მიზანი	აქტივობა	ვადა	რესურსები	პასუხისმგებელი პირი